| | |
|---|---|
| დარგი: | საერთაშორისო სამართალი (საერთო სპეციალიზაციისათვის) |
| ქვედარგი: | კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ და მისი დამატებითი ოქმები |
| ტიპი: | წერითი |

**კითხვა:**

გიორგი 1997-1999 წლებში იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი. 2000 წლის 25 ნოემბერს გიორგი დამნაშავედ ცნო აჭარის უმაღლესმა სასამართლომ მკვლელობის ჩადენისათვის და მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. გიორგიმ აჭარის უმაღლესი სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც 2001 წლის 1 თებერვალს გააუქმა გამამტყუნებელი განაჩენი და გიორგი უდანაშაულოდ ცნო წარდგენილ ბრალდებაში. უზენაესმა სასამართლომ გამამართლებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და აჭარის უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო იზოლატორს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამამართლებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო გიორგი აჭარის უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო იზოლატორიდან, არ აღსრულდა და გიორგი დარჩა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

2001 წლის მაისში გიორგიმ განაცხადი წარადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და წამოიწყო დავა მისი ევროპული კონვენციით აღიარებული რამდენიმე ფუნდამენტური უფლების დარღვევის თაობაზე.

2001 წლის 23 ივლისს შეიქმნა საპარლამენტო კომისია, რომლის მიზანი იყო შეესწავლა მომჩივანის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართალწარმოებისას შიდა სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება. კომისიამ მიიღო დასკვნა და შეიმუშავა წინადადება სამართალწარმოების პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების გამო საქმის განახლების თაობაზე.

საქართველოს მთავრობამ სთხოვა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს დაუშვებლად ეცნო საჩივარი, საქართველოს იურისდიქციისა და შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვის არარსებობის გამო.

**არსებულ ფაქტებზე/გარემოებებზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის (სტანდარტებით) შესაბამისად:**

**1. შეაფასეთ საჩივრის დასაშვებობის საკითხი.**

**2. იმსჯელეთ განხორციელებული მოქმედებები და გადაწყვეტილებები კონვენციით დაცულ რომელ უფლებებს შეეხება (დაცული სფერო).**

**3. იმსჯელეთ კონვენციით დაცული უფლების (უფლებების) შესაძლო დარღვევის თაობაზე.**

**პასუხი დაასაბუთეთ.**

| | |
|---|---|
| დარგი: | სამოქალაქო სამართალი და პროცესი |
| ქვედარგი: | სამოქალაქო სამართალი და პროცესი |
| ტიპი: | წერითი |

**კითხვა:**

დავითმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნინოს წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხის უღირს მემკვიდრედ ცნობა. სარჩელი დაამყარა შემდეგ გარემოებებზე:

მამკვიდრებელი - გიორგი გარდაიცვალა 2012 წლის 5 თებერვალს. დავითი და ნინო არიან და-ძმა. ნინო არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ლევანთან. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ლევანი ცნობილი იქნა დამნაშავედ გიორგის განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ხოლო ნინო ცნობილი იქნა დამნაშავედ ქურდობასა და დანაშაულის (გიორგის განზრახ მკვლელობის) დაფარვაში.

განაჩენის მიხედვით, ნინომ არ აცნობა სამართალდამცავ ორგანოებს მძიმე დანაშაულის შესახებ, რომლის საშუალებაც მას ობიექტურად გააჩნდა. მოსარჩელის განმარტებით, ნინომ, ნაცვლად შეტყობინებისა, ხელი შეუწყო ლევანს მიმალვაში და ამ მიზნით მას გადასცა ნაქურდალი ნივთები.

2012 წლის 28 ივნისს ნინოს წარმომადგენელმა სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს. ნოტარიუსმა 2012 წლის 15 აგვისტოს, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის მიღების შემდეგ და მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, გასცა სამკვიდრო მოწმობა ნინოს სასარგებლოდ მამის დანაშთ ქონებაზე.

მოსარჩელის განმარტებით, ნოტარიუსი არ იყო უფლებამოსილი გაეცა სამკვიდრო მოწმობა, ვინაიდან მისთვის ცნობილი იყო, რომ ნინოს ბრალად ედებოდა ისეთი დანაშაულის ჩადენა, რაც ითვლება ხელისშემშლელ გარემოებად მემკვიდრეობის მიღების დროს.

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც შეტყობინება ჩაბარდა კანონით დადგენილი წესის დაცვით. მოსარჩელემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

**ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე მიიღეთ გადაწყვეტილება. პასუხი დაასაბუთეთ.**

| | |
|---|---|
| დარგი: | ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი |
| ქვედარგი: | ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი |
| ტიპი: | წერითი |

**კითხვა:**

მუჰამედმა განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და მოითხოვა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვა. პრეზიდენტმა არსებითად იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და გამოსცა გადაწყვეტილება, რომლითაც არ დააკმაყოფილა მუჰამედის განცხადება იმ მოტივით, რომ მისთვის ბინადრობის ნებართვის მინიჭება საფრთხეს უქმნიდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას.

პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება მუჰამედმა სარჩელით გაასაჩივრა სასამართლოში, მოითხოვა მისი ბათილად ცნობა და პრეზიდენტისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც მასზე გაიცემოდა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვა.

სასამართლომ განიხილა რა სარჩელი, დააკმაყოფილა იგი: ბათილად სცნო გასაჩივრებული აქტი და პრეზიდენტს დაავალა ახალი აქტის გამოცემა მუჰამედისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე. ამავე გადაწყვეტილებით, სასამართლომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით, არ დააკმაყოფილა მუჰამედის შუამდგომლობა, რომლითაც იგი ითხოვდა ადვოკატისათვის გადახდილი თანხების დაკისრებას პრეზიდენტისათვის.

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ ერთპიროვნულად განიხილა რა საქმე, ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში.

**სამართლებრივად შეაფასეთ:**

**1. პრეზიდენტის აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან და მუჰამედის სასარჩელო მოთხოვნის პროცესუალური გამართულობა.**

**2. სასამართლოს მოქმედება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში.**

**3. სასამართლოს მოქმედება ადვოკატისათვის გადახდილი თანხების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში.**

**4. რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს უზენაესმა სასამართლომ? არის თუ არა სახეზე გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები?**

**პასუხი დაასაბუთეთ.**

| | |
|---|---|
| დარგი: | სისხლის სამართლის პროცესი |
| ქვედარგი: | სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი |
| ტიპი: | წერითი |

**კითხვა:**

ვახტანგს ბრალად წარედგინა განზრახ მკვლელობა. მან გამოძიების ეტაპზე სრულად აღიარა დანაშაული და დაკითხვისას, რომელსაც ესწრებოდა პროკურორი განმარტა, რომ ადვოკატს არ საჭიროებდა, რადგან თავად იყო იურისტი და მის ინტერესებს პირადად დაიცავდა.

წინასასამართლო სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, განხილული იქნა საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემის საკითხი. პროკურორმა სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ საქმეზე დანიშნულიყო არსებითი განხილვის სხდომა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბრალდებულმა განაცხადა, რომ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული პოზიცია და ითხოვა სხდომის გადადება. მოსამართლემ განმარტა, რომ ვინაიდან ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში თავს სრულად ცნობდა დამნაშავედ მის პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, შესაბამისად დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და საქმის არსებითი განხილვის სხდომა ჩანიშნა წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან მე-10 დღეს.

საქმის არსებითი განხილვისას, მხარეებს შორის დაიწყო მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების მიღწევასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც საქმის არსებითი განხილვის მოსამართლემ თავისი ინიციატივით დაუნიშნა დამცველი ბრალდებულს. მხარეებს შორის მიღწეული იქნა საპროცესო შეთანხმება, რაც დამტკიცდა სასამართლო სხდომაზე.

განაჩენის გამოტანიდან მე-20 დღეს, მსჯავრდებულმა გაასაჩივრა იგი, იმ მოტივით, რომ სასამართლომ საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტისას დაარღვია საპროცესო კოდექსის მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ საჩივარი დასაშვებად არ ცნო.

**შეაფასეთ პროკურორის, წინასასამართლო სხდომის, არსებითი განხილვის სხდომის და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.**

| | |
|---|---|
| დარგი: | სისხლის სამართალი |
| ქვედარგი: | სისხლის სამართლის კოდექსი |
| ტიპი: | წერითი |

**კითხვა:**

ლიცენზიის გარეშე სააღსრულებო საქმიანობისთვის ნასამართლევი გელა შევიდა ოქროულობის მაღაზიაში და იმ მოტივით, რომ თითქოსდა სურდა ოქროს სამაჯურის შეძენა. მოიზომა ის, რის შემდეგაც სირბილით დატოვა მაღაზია და მიიმალა.

მეორე დღეს აღნიშნულის შესახებ უთხრა მის მეუღლეს - თამარს და მეგობარ ნიკას. თამარმა ხსენებული სამაჯური ჩააბარა ე.წ. „ოქროს ბირჟაზე“, აღებული 1000 ლარი კი გადასცა გელას.

აღნიშნულიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ თამარი დააკავეს. გელამ, გაიგო რა თამარის დაკავების შესახებ, იფიქრა, რომ მასაც დააკავებდნენ, რის გამოც ნიკასგან შეიძინა ყალბი პასპორტი და გადაწყვიტა  დაეტოვებინა საქართველოს საზღვარი. მან აღნიშნული პასპორტი წარადგინა სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე, რა დროსაც მესაზღვრის მიერ ეჭვი იქნა შეტანილი პასპორტის ნამდვილობაში და გადამოწმების შემდეგ გელა დააკავეს.

**დააკვალიფიცირეთ გელას, თამარის და ნიკას ქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.**